

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების

ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის

უფროსი

Handwritten signature in blue ink.

ზურაბ ბუცხრიკიძე

„16“ „01“ 2015 წელი

ეგზ. № 1

ახალციხის მუნიციპალიტეტის

2012-2013 წლების ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აუდიტის ანგარიში

Handwritten in blue ink: ანგ 3/00

2015 წელი

შინაარსი

აუდიტის მიზანი	4
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	5
აუდიტის მიდგომა	6
ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა	7
ახალციხის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები	9
უარყოფითი მოსაზრებების საფუძვლები	10
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა	10
ბალანსი	12
მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	12
სხვა საგადასახადო აქტივი	13
სხვა მატერიალური მარაგები	13
შენობა-ნაგებობები	14
მანქანა - დანადგარები და ინვენტარი	15
არაწარმოებული აქტივები	16
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	17
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	17
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ	19
ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	19
წმინდა ღირებულება	20
ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ	21
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	21
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	22
ინვენტარიზაცია	23
აუდიტის დასკვნა - უარყოფითი დასკვნა	24
უარყოფითი მოსაზრებების საფუძვლები	25
სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა	25
ბალანსი	26

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	27
სხვა საგადასახადო აქტივი.....	27
სტრატეგიული მარაგები.....	28
სხვა მატერიალური მარაგები	29
შენობა-ნაგებობები.....	29
მანქანა - დანადგარები და ინვენტარი.....	31
სხვა ძირითადი აქტივები	33
დაუმთავრებელი მშენებლობა.....	34
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	35
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	35
ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	36
ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.....	37
ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ	37
წმინდა ღირებულება	38
ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე	39
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	39
ინვენტარიზაცია	40
აუდიტის დასკვნა - უარყოფითი დასკვნა.....	42
ახალციხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსური ანგარიშგება	43
ახალციხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება	60
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი.....	76
აუდიტის ჯგუფის წევრების ხელმოწერები.....	76

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია აუდიტის ობიექტის 2012-2013 წლების პერიოდის მდგომარეობით შედგენილი ბუღალტრული ანგარიშგების სისწორეზე მოსაზრების გამოთქმა.

აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები, რომლებზეც გაიცემა აუდიტორული დასკვნა, მოიცავს აუდიტის ობიექტის ბალანსს 2012-2013 წლების მდგომარეობით და ბალანსის დანართ ფორმებს, რომლებიც დადგენილია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანებით.

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აუდიტის ობიექტი ვალდებულია უზრუნველყოს ბუღალტრული ანგარიშგების მომზადება და სამართლიანად წარდგენა შემდეგი ნორმატიული აქტების შესაბამისად:

- „საქართველოში ბუღალტრული არღიხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული არღიხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;
- „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან

განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას. გარდა ამისა, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია აუდიტორებისათვის მოწოდებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურე ვალდებულია:

ა) აუდიტი წარმართოს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად, რაც გულისხმობს პროფესიული ეთიკის მოთხოვნებთან შესაბამისობის დაცვას, ასევე აუდიტის დაგეგმვასა და ჩატარებას გონივრული რწმუნების მისაღებად იმის შესახებ, რომ აუდიტის ობიექტის ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას;

ბ) დაიცვას საქართველოს კონსტიტუცია, ეს კანონი და სხვა ნორმატიული აქტები;

გ) აუდიტის ობიექტს გააცნოს აუდიტის სახეობა, მიზანი, პერიოდი და მხარეთა უფლება-მოვალეობანი;

დ) უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების, სახელმწიფო, სამსახურებრივი და კომერციული საიდუმლოებების დაცვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ე) აუდიტის შედეგები არ გახადოს საჯარო აუდიტის ანგარიშის შედგენამდე;

ვ) აუდიტის პროცესში შესაძლო დანაშაულის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში დოკუმენტების ორიგინალები დაურთოს აუდიტის მასალებს, ხოლო მათი დამოწმებული ასლები დატოვოს აუდიტის ობიექტში;

ზ) დაიცვას სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა ეთიკის კოდექსი;

თ) აუდიტის ჩატარებისას არ ჩაერიოს აუდიტის ობიექტის მიმდინარე საქმიანობაში.

აუდიტორული პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, რაც მოიცავს:

- ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებში არსებითი უზუსტობების რისკებისა და კონტროლის მექანიზმების შეფასებას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული აღრიცხვის წესების შეფასებას;
- ანგარიშგების წარდგენის საერთო შეფასებას;
- სხვა დამატებით პროცედურებს, რომლებიც განისაზღვრება აუდიტის მსვლელობისას.

აუდიტის მიდგომა

აუდიტის რისკის შესამცირებლად განისაზღვრა ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. აუდიტის ჯგუფმა არსებითობის განსაზღვრის საფუძველად აიღო მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტი - მთლიანი დანახარჯები. გარდა ამისა, გავითვალისწინეთ:

- ✓ ფინანსური ანგარიშგების შედგენისას მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის საიმედოობა;
- ✓ ჩვენ მიერ განხორციელებული რისკის შეფასების პროცედურების შედეგად გამოვლენილი რისკები.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმები ვერ უზრუნველყოფს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. გარდა ამისა, საქმიანობის ყველა ეტაპზე არ არსებობს ოფიციალურად დამტკიცებული შიდა კონტროლის პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფს თანამშრომლებს შორის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილებას. ზემოთ აღნიშნული მიზეზები მეტყველებს შიდა კონტროლის სისტემის არაეფექტიანობაზე, რის გამოც ვერ ხდება ფინანსური ინფორმაციის საიმედოდ წარდგენა.

აუდიტის ჯგუფის მიერ ჩატარებული წინასწარი აუდიტორული პროცედურებით, ახალციხის მუნიციპალიტეტის შიდა კონტროლის სისტემა შეფასდა როგორც სუსტი, შესაბამისად, ოპერაციების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის უზუსტობის რისკი განისაზღვრა, როგორც - მაღალი.

აუდიტის ჯგუფი არ გამოთქვამს მოსაზრებას 2012-2013 წლების ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი საწყისი ნაშთების სისწორეზე. ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურების განსაზღვრის დროს ბალანსში წარმოდგენილი საწყისი ნაშთები მიღებულია, როგორც სარწმუნო.

ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლების შესაქმნელად.

ახალციხის მუნიციპალიტეტის ზოგადი მიმოხილვა

ახალციხის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 47 ტერიტორიულ ერთეულს¹, მათ შორის: ორ ქალაქს და 45 სოფელს. ახალციხის მუნიციპალიტეტის ფართობია 1010.3 კვ.კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 48.4 ათას კაცს². ადმინისტრაციული ცენტრია - ქალაქი ახალციხე.

ახალციხის მუნიციპალიტეტი საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის³, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

¹ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ჩამოყალიბდა როგორც თვითმმართველი ქალაქი ახალციხის მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი თემი ახალციხის მუნიციპალიტეტი.

² წყარო: www.geostat.ge

³ აღნიშნული კანონი მოქმედებდა აუდიტის პერიოდში, ხოლო 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მოქმედებს - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2012-2013 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა 54 963.8 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 2012 წელს - 43 959.6 ათასი ლარი და 2013 წელს - 11 004.2 ათასი ლარი. 2013 წელს შემოსულობების შემცირება ძირითადად გამოწვეულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების შემცირებით. არაფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელი 2012 წელს შემოსულობების 9%-ია, ხოლო 2013 წელს - 2% და ჯამში 4 223.5 ათასი ლარი შეადგინა.

ცხრილი 1. 2012-2013 წლების ბიუჯეტის შემოსულობები (ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი
შემოსავლები	39 953	10 787.3
გადასახადები	633.1	930.9
გრანტები	36 724.2	8 670.4
სხვა შემოსავლები	2 595.7	1 186
არაფინანსური აქტივების კლება	4 006.6	216.9

შემოსავლებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გრანტები გამოირჩევა და მისი მაჩვენებელი 90%-ს შეადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებლები აქვს გადასახადებს - 3% და სხვა შემოსავლებს - 7%.

ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, 2012-2013 წლებში ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებმა 52 960.1 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 2012 წელს - 42 743.9 ათასი ლარი და 2013 წელს - 10 216.2 ათასი ლარი. გადასახდელების შემცირება ძირითადად განპირობებულია არაფინანსური აქტივების ზრდის შემცირებით.

ცხრილი 2. 2012-2013 წლების ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)

დასახელება	2012 წელი	2013 წელი
ხარჯები	7 582.2	5 973.8
შრომის ანაზღაურება	1 099.8	1 406.4
საქონელი და მომსახურება	2 254.2	2 006.7
პროცენტი	16.6	16.6
სუბსიდიები	1 789.3	2 061.7
გრანტები	1 920	0

სოციალური უზრუნველყოფა	502.3	481.7
სხვა ხარჯები	0	0.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	35 161.7	4 242.4

ხარჯებიდან ყველაზე მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა სუბსიდია, საქონელი და მომსახურება და შრომის ანაზღაურება. თუმცა, მათ შორის, 2013 წელს წინა წელთან შედარებით, თანხობრივად შემცირებულია „საქონლისა და მომსახურების“ მუხლი.

2012-2013 წლებში არაფინანსური აქტივების შესაქმნელად დაიხარჯა გადასახდელების 74%. 2012 წელს არაფინანსური აქტივების ზრდა იყო 35 161.7 ათასი ლარი, ხოლო 2013 წელს შემცირდა დაახლოებით 88%-ით და შეადგინა 4 242.4 ათასი ლარი. აღნიშნული განპირობებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან რაბათის ციხის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი ტრანსფერით.

ახალციხის მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

მუნიციპალიტეტს გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები. საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ის ახორციელებს ინფრასტრუქტურულ, სოციალურ - კულტურულ, სკოლამდელი განათლებისა და სხვა ღონისძიებებს, ხოლო სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ ახალციხის მუნიციპალიტეტისთვის დელეგირებული იყო შემდეგი უფლებამოსილებები: ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა, საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფა და სხვ.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✓ საბიუჯეტო პროცესის განხორციელება (საბიუჯეტო ურთიერთობა და პასუხისმგებლობა);
- ✓ ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება, განაკვეთების განსაზღვრა და ამოღება;

- ✓ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება;
- ✓ იურიდიული პირების დაფუძნება, რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია;
- ✓ მუნიციპალური ქონების შექმნის, სარგებლობისა და განკარგვის საკითხების რეგულირება საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- ✓ სივრცით-ტერიტორიული მოწყობა, განაშენიანება და ტერიტორიის კეთილმოწყობა;
- ✓ ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხებზე წინადადებების, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

გარემოება: ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა უნდა ხდებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით განსაზღვრული ანგარიშთა გეგმით. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და წარმოადგენს ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საფინანსო სამსახური არ ახორციელებს ფინანსურ აღრიცხვას. კერძოდ, პირველადი დოკუმენტების საფუძველზე არ ახდენს ბუღალტრულ გატარებას, მათ ასახვას ბარათებსა და მემორიალებზე, შესაბამისად, ნაშთების გადატანას ე.წ. „მთავარ წიგნში“, რომლის საფუძველზეც უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგება.

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამოღებულია 2012 წლის შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ ხაზინიდან მიღებული ყოველდღიური შემოსავლების რეესტრი (12 წიგნი);
- ✓ საბანკო ანგარიშის ამონაწერები (3 ფურცელი);
- ✓ 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი და 11 ცვლილება (295 ფურცელი);
- ✓ საბუღალტრო დოკუმენტაცია (97 წიგნი);
- ✓ საბუღალტრო დოკუმენტაცია, აუქციონის შედეგად შემოსულ თანხებთან დაკავშირებით (1 წიგნი).

გავლენა:

გამოვლენილი გარემოების შედეგად და იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტში არ წარმოებს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ არის სრულყოფილად შედგენილი და შეიცავს არსებით უზუსტობებს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ არასათანადოდ ან საერთოდ არ ხორციელდება:

- ✓ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორების, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა, რომლებიც გავლენას ახდენენ ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე;
- ✓ მუნიციპალური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული აქტივების ღირებულების შეფასება;
- ✓ სამეურნეო მოვლენის, აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფება ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შესაბამისად;
- ✓ მუნიციპალიტეტის ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ აქტივების ნარჩენი ღირებულების (წმინდა ღირებულების) გაანგარიშება;
- ✓ დამტკიცებული ფორმით ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენა;

- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების დადგენილი წესით შენახვა და არქივში ჩაბარება;
- ✓ არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა.

ბალანსი

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ბალანსის ფორმაში არ არის დაცული საბალანსო ტოლობა, კერძოდ, 2012 წელს აქტივების საწყისი ნაშთების ჯამი არის 13 063.7 ათასი ლარი, ხოლო პასივების (ვალდებულებებს + კაპიტალი) - 10 626.5 ათასი ლარი.

გავლენა:

გამოვლენილი გარემოების შედეგად აქტივების საწყისი ნაშთების ჯამი 2 437.2 ათასი ლარით აღემატება პასივების საწყისი ნაშთების ჯამს. საბალანსო ტოლობა წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. აღნიშნული ტოლობა გულისხმობს გატარებების წარმოებისას ორმაგი ჩაწერის მეთოდის გამოყენებას, ხოლო მთავარ წიგნში სადებეტო ნაშთების ჯამის საკრედიტო ნაშთების ჯამთან ტოლობას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სწორი ფინანსური ანგარიშგების შედგენას, სადაც მიღწეულია ბალანსი. აღნიშნული პრინციპის შეუსრულებლობა მეტყველებს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში უზუსტობების არსებობაზე.

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტს 2012 წლის 31 დეკემბერს, საბანკო ამონაწერის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება თავისუფალი ნაშთი - 3 007.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსურ აქტივს, თუმცა ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი ბალანსის შესაბამის მუხლში არ აღრიცხულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 3 007.1 ათასი ლარით შემცირებული სახითაა წარმოდგენილი ბალანსის მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ (ფორმა №1).

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, ახალციხის მუნიციპალიტეტს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება ზედმეტობა 116.1 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი - 105.7 ათასი ლარი, სოციალური გადასახადი - 10.4 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული საგადასახადო აქტივი ბალანსის შესაბამის მუხლში ასახული არ არის.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა საგადასახადო აქტივი“ (ფორმა №1).

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბალანსში - „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ მუხლში აღრიცხულია 269.2 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივი. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში გადაცემის მომენტში უნდა აღიარდეს ხარჯად და აღირიცხოს ბალანსგარეშე ანგარიშზე - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 269.2 ათასი ლარით გაზრდილია ორგანიზაციის ბალანსის მუხლი - „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“. ასევე შემცირებულია ბალანსგარეშე ანგარიში „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (ფორმა №1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით შეცდომითაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

შენობა-ნაგებობები

გარემოება: 2012 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან საკუთრებაში გადმოეცა სხვადასხვა სახის ძირითადი და დამატებითი ქონება, კერძოდ:

- სოფელ წყალთბილაში 26.9 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით (სამხედრო ქალაქი⁴);
- ქალაქ ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქუჩა №1-ში მდებარე 99.1 ათასი კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობებით (რაზათის ციხის ტერიტორიები⁵);
- სოფელ სხვილისში საბავშვო ბაღი - დამაგრებული არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა - 1.3 ათასი კვ.მ⁶.

⁴ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1090 01.05.2012. საკადასტრო კოდი 62.16.67.005

⁵ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1131, 13.06.2012; საქართველოს მთავრობის განკარგულება №1481, 30.07.2012. საკადასტრო კოდები: 62.09.51.082, 62.09.51.178, 62.09.51.238

⁶ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1608, 02.08.2012. საკადასტრო კოდი 62.08.10.133

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, არც ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არასწორია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ და „წმინდა ღირებულების მუხლები“ (ფორმა №1).
- აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

მანქანა - დანადგარები და ინვენტარი

გარემოება: 2012 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტმა გადაიხადა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის მომსახურების თანხა 7.9 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხით შესყიდულ იქნა ექსკავატორ-მტვირთავი. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ შესაბამისად, სესხით სარგებლობის თანხით უნდა გაზრდილიყო იმ აქტივის ღირებულება, რომლის შეძენას, წარმოებას ან მშენებლობას უშუალოდ უკავშირდებოდა სესხით სარგებლობის დანახარჯები, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით შემცირებულია ორგანიზაციის ბალანსის არაფინანსური აქტივების - „მანქანა-დანადგარების და ინვენტარის“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი ახდენს პროცენტის ხარჯად აღიარებას, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი

პროცენტის მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2).

○ იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ ახდენს პროცენტის კაპიტალიზაციას, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №5).

არაწარმოებული აქტივები

გარემოება: წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2012 წელს მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან საკუთრებაში გადმოეცა 60.4 ათასი კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ორი ფართობი, რომლებიც განთავსებულია ახალციხეში, ხარისჭირაშვილის ქუჩა №1-ის მიმდებარედ⁷. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისად, ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც არასწორია.

გავლენა:

○ გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში შემცირებულადაა წარმოდგენილი „არაწარმოებული აქტივებისა“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები (ფორმა №1).

○ აღნიშნულიდან გამომდინარე, არასწორადაა წარმოდგენილი „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

⁷ საქართველოს მთავრობის განკარგულება №1765, 18.09.2012. საქართველოს მთავრობის განკარგულება №1481, 30.07.2012. საკადასტრო კოდები: 62.09.51.239 62.09.51.238

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტს 2012 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ერიცხება სესხი 69.9 ათასი ლარის ოდენობით. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, აღნიშნული სესხი უნდა აღირიცხოს მუხლში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზაციის ბალანსში სესხის თანხა წარმოდგენილია მუხლში „გადასახდელი პროცენტები“.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 69.9 ათასი ლარით შემცირებულია ორგანიზაციის ბალანსის „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი და შესაბამისი თანხით გაზრდილია „გადასახდელი პროცენტების“ მუხლი (ფორმა №1).

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

გარემოება 1: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, მუნიციპალიტეტის მიერ უნდა აისახოს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯები, მათ შორის, პრემია. პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა 2012 წელს გასცა 338.2 ათასი ლარი, პრემიის სახით. თუმცა ბალანსის დანართ ფორმა №2-ში აღნიშნული ხარჯი გამიჯნული არ არის თანამდებობრივი სარგოსგან.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ერთი მხრივ, 338.2 ათასი ლარით შემცირებულია „პრემიის“ მუხლი, ხოლო, მეორე მხრივ, იმავე თანხით გაზრდილია „თანამდებობრივი სარგოს“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №2).

გარემოება 2: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, აღრიცხულია სუბსიდიის თანხით - 2 160.6 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით კი ირკვევა, რომ ფაქტობრივად სუბსიდიამ შეადგინა 1 789.3 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბალანსის დანართი ფორმების შედგენისას დაშვებულია მექანიკური შეცდომები.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 371.3 ათასი ლარით გაზრდილადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ სუბსიდიის მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №2).

გარემოება 3: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმაში - „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, 2012 წელს „გრანტების“ მუხლი არ არის აღრიცხული. აუდიტის ჯგუფის მიერ მოპოვებულ იქნა მტკიცებულებები, რომლის მიხედვით გრანტებმა, ხარჯების ნაწილში შეადგინა 1 920.0 ათასი ლარი. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია ბალანსის დანართი ფორმების შედგენისას დაშვებულია მექანიკური შეცდომებით.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 1 920.0 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, „გრანტების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №2).

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების⁸ შესაბამისად, უნდა მოემზადებინა ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №2-1 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.“ 2012 წლის ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს აღნიშნულ ფორმას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით ეს განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტში ნაწილობრივ სრულდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №364 ბრძანების მოთხოვნები და ადგენდნენ მხოლოდ ორგანიზაციის ბალანსს. ფინანსური ანგარიშგების დანარჩენი ფორმები კი არასრულად მომზადდა აუდიტის პერიოდში.

გავლენა:

- აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება არასრულყოფილად არის წარმოდგენილი. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

გარემოება: ბალანსის დანართ ფორმა №2-2-ში - „ორგანიზაციის ანგარიშში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, აისახება მუნიციპალიტეტის მიერ საანგარიშგებო პერიოდში ვალდებულებების კლება. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული ბალანსის დანართ ფორმაში აღრიცხულია 16.5 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს მიმდინარე პერიოდის პროცენტს -

⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

7.9 ათას ლარს და გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულების მიმდინარე ნაწილს -
8.6 ათას ლარს, რაც არასწორია.

გავლენა:

- იმის გათვალისწინებით, რომ „სესხების“ მუხლში აღრიცხულია სესხის ძირითადი ნაწილიც და შესაბამისი პერიოდის პროცენტიც, 7.9 ათასი ლარით გაზრდილია „ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ“, „სესხების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №2-2).

წმინდა ღირებულება

გარემოება: „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია მოამზადოს ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები, მათ შორის, ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №3 - „ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ“. აღნიშნული ფორმა მოიცავს ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების, შემოსავლების, ხარჯების (ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებისა და გაწეული ხარჯების გარდა) და სხვა ეკონომიკური ნაკადების ანგარიშებს. ასევე მოიცავს ერთი დონის სახელმწიფო ერთეულებს შორის აქტივების, საქონლისა და მომსახურების უსასყიდლოდ მიღებასა და გადაცემას, ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებას შემოსავლების საკასო შესრულებით და ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით. მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წელს აღნიშნული დოკუმენტი არ მომზადებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ბალანსში „წმინდა ღირებულების“ მუხლის გაანგარიშება ხდებოდა ტექნიკურად - ბალანსის აქტივების ჯამს გამოკლებული დავალიანებების ჯამი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსი (ფორმა №1).

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

გარემოება: 2012 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან საკუთრებაში გადმოეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობები, კერძოდ:

- ✓ ახალციხეში, ახალქალაქის გზატკეცილი №2-ში - 2.3 ათასი კვ. მ⁹;
- ✓ ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქ. 30-ის მიმდებარედ - 0.1 კვ. მ¹⁰;
- ✓ ახალციხეში, ახალი ხიდის მიმდებარედ, ფოცხოვის მარცხენა სანაპიროზე - 0.5 ათასი კვ. მ¹¹.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ეს ფართობები გაიყიდა იმავე წელს. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ოპერაციები არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან საფინანსო სამსახურს არ მიუღია აღნიშნული ქონების გადმოცემისა და პრივატიზების შესახებ დოკუმენტაცია.

გავლენა:

- აღნიშნული გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის №364 ბრძანების შესაბამისად, უნდა მოემზადებინა ბალანსის დანართი ფორმა №6 -

⁹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/992, 17.04.2012. საკადასტრო კოდი 62.09.53.461

¹⁰ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1075, 27.04.2012. საკადასტრო კოდი 62.09.54.405

¹¹ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/1075, 27.04.2012. საკადასტრო კოდი 62.09.53.463

„ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე,“ რაც არ განხორციელებულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოებიდან გამომდინარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგება არასრულად არის წარმოდგენილი და არ მოიცავს ინფორმაციას არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება

გარემოება: ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის №439 ბრძანების მიხედვით, ძირითად აქტივებს, მიუხედავად იმისა, საანგარიშო წლის რომელ თვეშია ისინი შეძენილი ან წარმოებული, ცვეთა ერიცხება წლის ბოლოს, სრული კალენდარული წლისათვის. საანგარიშო წლის ბოლოს ძირითადი აქტივის ფიზიკური ცვეთა აღიარდება ხარჯად და აისახება ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთისა და ძირითადი აქტივების შესაბამის ანგარიშებზე.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საფინანსო სამსახური ახორციელებს ცვეთის სიდიდის დაანგარიშებას თითოეული ძირითადი აქტივისა და ცვეთის ნორმების მიხედვით, თუმცა საბუღალტრო გატარებით არ აღრიცხავს შესაბამის ანგარიშებზე.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის „არაფინანსური აქტივების“ შესაბამისი მუხლები (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ ცვეთის სიდიდე არ აისახება არაფინანსური აქტივების შესაბამის ანგარიშებზე, არასწორადაა

წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ და „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“ (ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №2 და ფორმა №5).

ინვენტარიზაცია

გარემოება: საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანების¹² - „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ თანახმად, ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მონაცემების უტყუარობის უზრუნველყოფის მიზნით, ორგანიზაცია ვალდებულია მოახდინოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა და საბიბლიოთეკო ფონდებისა, რომელთა ინვენტარიზაცია სავალდებულოა 3 წელიწადში ერთხელ მაინც. აღნიშნული ბრძანებით, აქტივების ჯგუფებისთვის განსაზღვრულია ინვენტარიზაციის ჩატარების რეკომენდებული სხვადასხვა ვადები. კერძოდ:

- ✓ ძირითადი აქტივების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ სტრატეგიული მარაგების – საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ნედლეულისა და მასალების – წელიწადში ორჯერ მაინც;
- ✓ მატერიალური მარაგების – წელიწადში ერთხელ მაინც, არა უადრეს პირველი ოქტომბრისა;
- ✓ ფულადი ანგარიშებისა და ფულადი დოკუმენტების – კვარტალში ერთხელ მაინც;
- ✓ საწვავის – ყოველთვიურად;

¹² 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

- ✓ ფასეულობების – წელიწადში ერთხელ მაინც, საბიუჯეტო წლის ბოლოს, არა უადრეს პირველი ნოემბრისა;
- ✓ ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების – წელიწადში ორჯერ მაინც.

2012 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, აუდიტის ჯგუფმა ვერ მოახერხა აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენა და მათი შედარება ორგანიზაციის სააღრიცხვო დოკუმენტაციასთან.

გავლენა:

- ის გარემოება, რომ 2012 წელს მუნიციპალიტეტს კანონმდებლობით დადგენილი წესით ინვენტარიზაცია არ განუხორციელებია, მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზაციას სათანადო კონტროლი არ აქვს დაწესებული ძირითადი საშუალებებისა და მატერიალური მარაგების, ასევე მცირეფასიანი აქტივების მოძრაობაზე. ასევე არ ხდება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალურობის შემოწმება, აქტივებისა და ვალდებულებების შედარება ფაქტობრივ ნაშთებთან. გამოვლენილი გარემოების შედეგად დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

აუდიტის დასკვნა - უარყოფითი დასკვნა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გამოთქვამს უარყოფით მოსაზრებას ახალციხის მუნიციპალიტეტის 2012 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. უარყოფითი მოსაზრების საფუძველია ფინანსური ანგარიშგების ყველა არსებითი ასპექტის შეუსაბამობა შემდეგ საკანონმდებლო მოთხოვნებთან:

✓ „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულება;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

✓ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება.

უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა

გარემოება: ორგანიზაციაში ეკონომიკური მოვლენებისა და ნაკადების აღრიცხვა უნდა ხდებოდეს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციით განსაზღვრული ანგარიშთა გეგმით. პირველად დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია გროვდება და სისტემატიზირდება სააღრიცხვო რეგისტრებში, რომლებიც შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის საერთო მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით და წარმოადგენს ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის საფუძველს.

პასუხისმგებელი პირის განმარტებით, საფინანსო სამსახური არ ახორციელებს ფინანსურ აღრიცხვას. კერძოდ, პირველადი დოკუმენტების საფუძველზე არ ახდენს ბუღალტრულ გატარებას, მათ ასახვას ბარათებსა და მემორიალებზე, შესაბამისად, ნაშთების გადატანას ე.წ. „მთავარ წიგნში“, რომლის საფუძველზეც უნდა მომზადდეს ფინანსური ანგარიშგება.

გავლენა:

გამოვლენილი გარემოების შედეგად და იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტში არ წარმოებს სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ არის სრულყოფილად შედგენილი და შეიცავს არსებით უზუსტობებს. აქედან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის მიერ არასათანადოდ ან საერთოდ არ ხორციელდება:

- ✓ იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან სამეურნეო ოპერაციების შედეგად ანგარიშსწორების, მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა ეკონომიკური მოვლენების აღრიცხვა, რომლებიც გავლენას ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე;
- ✓ მუნიციპალური საქმიანობის განხორციელების შედეგად მიღებული აქტივების ღირებულების შეფასება;
- ✓ სამეურნეო მოვლენის, აქტივებისა და ვალდებულებების დაჯგუფება ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის შესაბამისად;
- ✓ მუნიციპალიტეტის ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ აქტივების ნარჩენი ღირებულების (წმინდა ღირებულების) გაანგარიშება;
- ✓ დამტკიცებული ფორმით ფინანსური ანგარიშგების დადგენილ ვადებში შედგენა;
- ✓ ბუღალტრული აღრიცხვის მატერიალური/ელექტრონული ფორმის დოკუმენტების დადგენილი წესით შენახვა და არქივში ჩაბარება;
- ✓ არაფინანსური და ფინანსური აქტივებისა (ვალდებულებების) და სხვა დებიტორული (კრედიტორული) დავალიანებების ინვენტარიზაციაში მონაწილეობა და ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვაში ასახვა.

ბალანსი

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ბალანსის ფორმაში არ არის დაცული საბალანსო ტოლობა, კერძოდ,

2013 წელს აქტივების საბოლოო ნაშთების ჯამი არის 12 970.3 ათასი ლარი, ხოლო პასივების (ვალდებულებებს + კაპიტალი) – 12 955.9 ათასი ლარი.

გავლენა:

გამოვლენილი გარემოების შედეგად, აქტივების საწყისი ნაშთების ჯამი 14.4 ათასი ლარით აღემატება პასივების საწყისი ნაშთების ჯამს. საბალანსო ტოლობა წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს. აღნიშნული ტოლობა გულისხმობს გატარებების წარმოებისას ორმაგი ჩაწერის მეთოდის გამოყენებას, ხოლო „მთავარ წიგნში“ სადებეტო ნაშთების ჯამის საკრედიტო ნაშთების ჯამთან ტოლობას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს სწორი ფინანსური ანგარიშგების შედგენას, სადაც მიღწეულია ბალანსი. აღნიშნული პრინციპის შეუსრულებლობა მეტყველებს ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებაში უზუსტობების არსებობაზე.

მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტს 2013 წლის 31 დეკემბერს, საბანკო ამონაწერის მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება თავისუფალი ნაშთი - 3 707.1 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული თანხა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ფინანსურ აქტივს, თუმცა ბანკის მიმდინარე ანგარიშზე არსებული ნაშთი ბალანსის შესაბამის მუხლში არ აღრიცხულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 3 707.1 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი ბალანსის მუხლი „მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში“ (ფორმა №1).

სხვა საგადასახადო აქტივი

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტს, ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით, 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება

ზედმეტობა 78.3 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი - 67.2 ათასი ლარი, სოციალური გადასახადი - 10.4 ათასი ლარი და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი - 0.7 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული საგადასახადო აქტივი ბალანსის შესაბამის მუხლში ასახული არ არის.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად არასწორადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის მუხლი „სხვა საგადასახადო აქტივი“ (ფორმა №1).

სტრატეგიული მარაგები

გარემოება: 2013 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა მიწები, სოფლების სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის, ღირებულებით - 14.4 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივი ორგანიზაციის ბალანსში ასახულია „სტრატეგიულ მარაგებში“. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სტრატეგიულ მარაგებს მიეკუთვნება საქონელი, რომელიც ინახება სტრატეგიული მიზნებისათვის და საგანგებო შემთხვევებისათვის ან რომელსაც აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. შესაბამისად, აღნიშნული აქტივი არ უნდა აესახათ სტრატეგიულ მარაგებში და ორგანიზაციის ბალანსში უნდა აღრიცხულიყო, როგორც „სხვა მატერიალური მარაგები“.

გავლენა:

- ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი შემცირებულია 14.4 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი „სხვა სტრატეგიული მარაგების“ მუხლი (ფორმა №1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „სხვა მატერიალური მარაგების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №5).

სხვა მატერიალური მარაგები

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბალანსში „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ მუხლში აღრიცხულია 269.2 ათასი ლარის ღირებულების მცირეფასიანი აქტივი. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, მცირეფასიანი აქტივები ექსპლუატაციაში გადაცემის მომენტში უნდა აღიარდეს ხარჯად და აღირიცხოს ბალანსგარეშე ანგარიშზე - „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 269.2 ათასი ლარით გაზრდილია ორგანიზაციის ბალანსის მუხლი - „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები“. ასევე შემცირებულია ბალანსგარეშე ანგარიში „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (ფორმა №1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით შეცდომითაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, მუხლი „სხვა მატერიალური მარაგები“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

შენობა-ნაგებობები

გარემოება 1: მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წელს შეძენილია 4 162.9 ათასი ლარის ღირებულების სხვადასხვა სამუშაოები¹³. კერძოდ:

- ✓ სასაფლაოების რეაბილიტაცია - 91.4 ათასი ლარი;
- ✓ ქუჩებისა და გზების რეაბილიტაცია - 2 605.6 ათასი ლარი;
- ✓ საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია - 711.2 ათასი ლარი;

¹³ ხელშეკრულებები №145; 146; 147; 152; 153; 154; 155; 156; 157; 158; 159; 160; 162; 164; 165; 166; 167; 170; 171; 172; 174; 177; 178; 181; 183; 184; 186; 187; 196; 211; 454; 459; 500; 501; 502; 503; 504; 505; 507; 508.

- ✓ სასმელი წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 621.7 ათასი ლარი;
- ✓ გარე განათება - 77.8 ათასი ლარი;
- ✓ ხალხური რეწვის სკოლა-მუზეუმის რეაბილიტაცია - 26.2 ათასი ლარი;
- ✓ რაბათის ციხეზე მობილური ვიტრაჟების მოწყობა და შენობა-ნაგებობის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა - 29.0 ათასი ლარი.

აქტივების ზრდა უნდა აღრიცხულიყო ორგანიზაციის ბალანსის „შენობა-ნაგებობების“ მუხლში, რაც არ განხორციელებულა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ოპერაციები ორგანიზაციის ბალანსსა და მის დანართ ფორმებში არ ასახულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 4 162.9 ათასი ლარით (ფორმა №1).
- ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმა №5-ში - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, 4 162.9 ათასი ლარით შემცირებულია „შენობა-ნაგებობების“ მუხლი.

გარემოება 2: 2013 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტს სახელმწიფოსგან საკუთრებაში გადმოეცა ცენტრალური სტადიონი, ფართობით 34.1 ათასი კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით. გადმოცემული შენობა-ნაგებობების საერთო ფართობი შეადგენდა 266 კვ.მ-ს¹⁴. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის მიერ არ არის შეფასებული და შესაბამისი ღირებულებით ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

¹⁴ საკადასტრო კოდი: 62.09.54.650

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ბალანსში შემცირებულადაა ასახული „შენობა - ნაგებობების“ მუხლი (ფორმა №1);
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 3: 2013 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისგან გადმოეცა ოთხი ერთეული საინფორმაციო-სარეკლამო ფარი, ღირებულებით - 3.0 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივი ორგანიზაციის ბალანსში ასახულია „სხვა ძირითად აქტივებში“, რაც არასწორია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, „სხვა ძირითად აქტივებს“ მიეკუთვნება კულტივირებული აქტივები და არამატერიალური ძირითადი აქტივები, ხოლო აღნიშნული აქტივი უნდა ასახულიყო „შენობა-ნაგებობების“ მუხლში.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად ორგანიზაციის ბალანსის - „შენობა-ნაგებობების“ მუხლი შემცირებულია 3.0 ათასი ლარით, ხოლო იმავე თანხით გაზრდილია „სხვა ძირითადი აქტივების მუხლი“.
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „შენობა-ნაგებობების“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №5).

მანქანა - დანადგარები და ინვენტარი

გარემოება 1: 2013 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა კომპიუტერული მოწყობილობები და მობილური ტელეფონები, საერთო ღირებულებით 10.4 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივები ნაცვლად ორგანიზაციის ბალანსის „მანქანა-

დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლისა, ასახულია „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლში.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 10.4 ათასი ლარით, ხოლო შესაბამისი თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი (ფორმა №1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 2: 2013 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტს სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციისგან გადმოეცა გაზის გამათბობელი ღუმელი, საერთო ღირებულებით - 7.6 ათასი ლარი. აღნიშნული აქტივი ნაცვლად ორგანიზაციის ბალანსის - „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლისა, ასახულია „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლში, რაც არასწორია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ორგანიზაციის ბალანსში არაფინანსური აქტივების „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი შემცირებულია 7.6 ათასი ლარით, ხოლო შესაბამისი თანხით გაზრდილად არის წარმოდგენილი „სხვა ძირითადი აქტივების“ მუხლი (ფორმა №1).
- გამოვლენილი გარემოების შედეგად, „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, არასწორადაა წარმოდგენილი „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №5).

გარემოება 3: 2013 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტმა გადაიხადა მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხის მომსახურების თანხა 6.8 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული სესხით შესყიდულ იქნა ექსკავატორ-მტვირთავი. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, სესხით სარგებლობის თანხით უნდა გაზრდილიყო იმ აქტივის ღირებულება, რომლის შეძენას, წარმოებასა ან მშენებლობას უშუალოდ უკავშირდებოდა სესხით სარგებლობის დანახარჯები, რაც არ განხორციელებულა.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, შესაბამისი თანხით შემცირებულია ორგანიზაციის ბალანსის არაფინანსური აქტივების - „მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის“ და „წმინდა ღირებულების“ მუხლები (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი ახდენს პროცენტის ხარჯად აღიარებას, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი პროცენტის მუხლი - „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ (ბალანსის დანართი ფორმა №2).
- იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტი არ ახდენს პროცენტის კაპიტალიზაციას, შესაბამისი თანხით არასწორადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“, მუხლი „მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (ბალანსის დანართი ფორმა №5).

სხვა ძირითადი აქტივები

გარემოება: ორგანიზაციის ბალანსში სხვა ძირითადი აქტივების მუხლში ასახულია ორი ფოტოაპარატი, რომელსაც იყენებს მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები. თითოეულის ღირებულება შეადგენს 0.3 ათას ლარს. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით 500 ლარზე ნაკლები ღირებულების და ერთ წელზე მეტი ვადით, მრავალჯერადი გამოყენების ტექნიკა ან ინვენტარი უნდა ასახულიყო

ხარჯების შესაბამის ანგარიშსა და ბალანსის საცნობარო მუხლში „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად ორგანიზაციის ბალანსში „სხვა ძირითადი აქტივების მუხლი“ გაზრდილია 0.6 ათასი ლარით და ამავე თანხით შემცირებულია ბალანსის საცნობარო მუხლი „ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები“ (ფორმა №1).
- აღნიშნულიდან გამომდინარე არასწორად არის წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №2 „ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“.

დაუმთავრებელი მშენებლობა

გარემოება: 2013 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება „9 აპრილის ქუჩაზე რეაბილიტაციის“ სამუშაოებზე, რომლის ვადა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაგრძელდა მომდევნო წელსაც. საანგარიშგებო წელს მუნიციპალიტეტმა ჩაიბარა სამუშაოების ნაწილი 284.0 ათასი ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ უნდა მომხდარიყო შესრულებული სამუშაოს ბალანსში ასახვა „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლში, რაც არ განუხორციელებია.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად 284.0 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი ორგანიზაციის ბალანსის არაფინანსური აქტივების მუხლი „დაუმთავრებელი მშენებლობა“ (ფორმა №1).
- იმის გათვალისწინებით, რომ 284.0 ათასი ლარი არ არის აღრიცხული დაუმთავრებელ მშენებლობაში, არასწორადაა წარმოდგენილი ბალანსის დანართი ფორმა №5 „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ“.

გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი

გარემოება: 2013 წელს მუნიციპალიტეტს ბალანსში „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადის“ მუხლში ნაშთად ერიცხება 10.3 ათასი ლარის ვალდებულება. შესაბამისი პერიოდის ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შედარების აქტის მიხედვით აღნიშნული ვალდებულება არ დასტურდება.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 10.3 ათასი ლარით გაზრდილდაა წარმოდგენილი ბალანსის მუხლი „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“ (ფორმა №1).

გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტს 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ერთი ხელშეკრულების ფარგლებში ერიცხება სესხი 61.3 ათასი ლარის ოდენობით. „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით, აღნიშნული სესხი უნდა აღირიცხოს მუხლში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ ორგანიზაციის ბალანსში სესხის თანხა წარმოდგენილია მუხლში „გადასახდელი პროცენტები“.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 61.3 ათასი ლარით შემცირებულია ორგანიზაციის ბალანსის „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებებისა და კრედიტორული დავალიანებების“ მუხლი და შესაბამისი თანხით გაზრდილია „გადასახდელი პროცენტების“ მუხლი (ფორმა №1).

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

გარემოება 1: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმაში - „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, მუნიციპალიტეტის მიერ უნდა აისახოს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული ხარჯები, მათ შორის, პრემია. პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტმა 2013 წელს გასცა 362.9 ათასი ლარი პრემიის სახით. თუმცა ბალანსის დანართ ფორმა №2-ში აღნიშნული ხარჯი გამიჯნული არ არის თანამდებობრივი სარგოსგან.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, ერთი მხრივ, 362.9 ათასი ლარით შემცირებულია პრემიის მუხლი, ხოლო, მეორე მხრივ, გაზრდილია თანამდებობრივი სარგოს მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №2).

გარემოება 2: ორგანიზაციის ბალანსის დანართ ფორმაში - „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“, აღრიცხულია სოციალური უზრუნველყოფის ფარგლებში გაწეული დახმარება - 421.0 ათასი ლარი. აუდიტის ჯგუფის მიერ დამატებითი პროცედურების ჩატარების შედეგად მოპოვებული ინფორმაციით ირკვევა, რომ ფაქტობრივად გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 481.7 ათასი ლარი.

გავლენა:

- გამოვლენილი გარემოების შედეგად, 60.7 ათასი ლარით შემცირებულადაა წარმოდგენილი „ორგანიზაციის ანგარიშში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით“ სოციალური უზრუნველყოფის მუხლი (ბალანსის დანართი ფორმა №2).

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

გარემოება: ახალციხის მუნიციპალიტეტს საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანების¹⁵ შესაბამისად, უნდა მოემზადებინა ორგანიზაციის ბალანსის დანართი ფორმა №2-1 - „ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.“ 2012 წლის ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს აღნიშნულ ფორმას. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ეს განპირობებულია იმით, რომ მუნიციპალიტეტში ნაწილობრივ სრულდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის №364 ბრძანების მოთხოვნები და ადგენდნენ მხოლოდ ორგანიზაციის ბალანსს. ფინანსური ანგარიშგების დანარჩენი ფორმები კი არასრულად მომზადდა აუდიტის პერიოდში.

გავლენა:

- აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგება არასრულყოფილად არის წარმოდგენილი. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ მიეწოდებათ ინფორმაცია არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ.

